საქართველოში საკონსტიტუციო და იურიდიული რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის

თომას ჰამარბერგის რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას

(მისიის დასკვნითი ეტაპის შედეგები - 4-9 ივნისი, 2014 წელი)

დასკვნითი ვიზიტის ფარგლებში სპეციალური მრჩეველი შეხვდა მთავრობის, პარლამენტის, სასამართლო სისტემის, სამოქალაქო საზოგადოებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, კერძოდ: პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, შინაგან საქმეთა მინისტრს, რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, იუსტიციის მინისტრის მოადგილეებს, გენერალური პროკურორის მოადგილეს, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერსა და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებს, სახალხო დამცველს, საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლებს, პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთის საკითხებში, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ელჩებს.

შეხვედრათა უმრავლესობას ესწრებოდნენ ევა პასტრანა (ევროკავშირის წარმომადგენელი) და თამარ ჩუგოშვილი (საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი).

სპეციალური მრჩეველი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ არაერთ სფეროში **მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული**, მათ შორის: ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება; სასამართლოს დამოუკიდებლობის ზრდა; გაუმჯობესებული საარჩევნო გარემო და სახელმწიფოსა და პარტიული ინტერესების ერთმანეთისგან გამიჯვნა (განსხვავებით წარსულში დამკვიდრებული ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრაქტიკისაგან); პირადი ცხოვრების დაცვის კუთხით არსებული პროგრესი; პირობების გაუმჯობესება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში; ახალი შრომის კოდექსის მიღება; ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება; არასამთავრობო სექტორთან და თავისუფალ მედიასთან ღია თანამშრომლობა.

აქვე, სპეციალური მრჩეველი მიიჩნევს, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების რეფორმისა და გაძლიერების კუთხით კვლავ რჩება მნიშვნელოვანი **გამოწვევები**, კერძოდ: სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ზრდის კუთხით მიღწეული პროგრესი ჯერ კიდევ მყიფეა, აუცილებელია ინდივიდუალურ მოსამართლეთა გაძლიერება; სამართალდამცავი ორგანოები კვლავ საჭიროებენ საფუძვლიან რეფორმას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავთა წინააღმდეგ საჩივრების გამოძიების ეფექტური და დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნა; აუცილებელია ფარული მიყურადების შესახებ კანონპროექტზე მუშაობის დასრულება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა; ძალადობის გამოვლინების

სიხშირე, როგორც პოლიტიკურ ნიადაგზე, ისე ოჯახში ძალადობის შემთხვევების ჩათვლით, საჭიროებს სათანადო რეაგირებას; წარსულში ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტური და დამაჯერებელი რეაგირებაა საჭირო; მნიშვნელოვანია შრომის კოდექსის პრაქტიკაში განხირციელება: შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის ინსპექციების შექმნასთან ერთად, აუცილებელია არსებობდეს ძირითად შრომით სტანდარტებზე ზედამხედველობის მექანიზმი.

ჩამოთვლილი საკითხები კავშირშია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმების ჩათვლით) და მათი წარმატებით შესრულება ხელს შეუწყობს საქართველოთი ინვესტორების დაინტერესებას, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ საკანონმდებლო და სამართლებრივ გარანტიებს. აუცილებელია წამოწყებული სოციალური პოლიტიკის გამყარება. აქცენტი უნდა გაკეთდეს მოწყვლად ჯგუფებზე, როგორებიცაა იძულებით გადაადგილებული პირები, უმცირესობები, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, სიღატაკეში მცხოვრები ბავშვები, ხანდაზმულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ საარჩევნო კოდექსი კვლავაც უნდა გაუმჯობესდეს. ორწლიანი საცხოვრებელი ცენზის შესახებ ნორმის განმარტება პრობლემატურია. აუცილებელია იმ დებულების გაუქმება, რომელიც საკრებულოს ანიჭებს უფლებას, ხმათა ორი მესამედით გაათავისუფლოს პირდაპირი წესით არჩეული მერი.

წარმოდგენილი დოკუმენტით სპეციალურ მრჩეველი დასკვნითი რეკომენდაციებით მიმართავს საქართველოს მთავრობას და მის შესაბამის სტრუქტურებს.

1. ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულება

საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა შვიდწლიანი ეროვნული სტრატეგიისა და მთავრობის ორწლიანი სამოქმედო გეგმის მიღება მნიშვნელოვანი პროგრესია. ასევე მისასალმებელია ადამიანის უფლებათა საბჭოსა და სამდივნოს შექმნა. სამოქმედო გეგმა ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, თუმცა ამ დოკუმენტების რეალურად შესრულებას მყარი პოლიტიკური ნება სჭირდება, რაც საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს:

- <u>ადამიანის უფლებათა</u> <u>საბჭომ უნდა შექმნას ეფექტური სტრუქტურა,</u> დაიყოს სამუშაო ჯგუფებად, შეიმუშავოს მოქმედების წესები, რათა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელება;
- <u>ადამიანის უფლებათა სამდივნო</u> უნდა აღიჭურვოს შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით, რათა რეგულარული მხარდაჭერა გაუწიოს ადამიანის უფლებათა საბჭოს;
- საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა გამოუცხადონ ურყევი პოლიტიკურ მხარდაჭერა ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებას;

- ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწის როლი განუზომელია საერთაშორისო და ადგილობრივ აქტორებთან ურთიერთობების კუთხით, ასევე ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში სამუშაოს ორგანიზების და მოსალოდნელი სირთულეების შესახებ პრემიერ-მინისტრისა და/ან სხვა თანამდებობის პირების დროულად ინფორმირების თვალსაზრისით. სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს თანაშემწის შემცვლელი;
- აუცილებელია სამოქმედო გეგმის განხორციელებაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. გეგმის შესრულების მონიტორინგში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პარლამენტსაც.

2. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დონის ამაღლებამ, განაჩენების დასაბუთებულობის ხარისხის გაზრდამ, სასამართლო პროცესების გამჭვირვალობის ამაღლებამ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დემოკრატიულად არჩევამ ხელშესახები პროგრესი მოუტანა საქართველოს. მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულების სისტემის წინსვლა არამყარია. პრემიერ-მინისტრი და მთავრობა უნდა იყოს მართლმსაჯულების სისტემაში ჩაურევლობის და მოსამართლეთა პირადი დამოუკიდებლობის გარანტი:

- აუცილებელია მოსამართლეთა დანიშვნის წესების დახვეწა. მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები, ასევე გამოსაცდელ პერიოდში მათი მუშაობის შეფასება მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ და სამართლიანად უნდა ხდებოდეს. მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი სუბიექტური და უსამართლო გადაწყვეტილების მიღებისა და ამ კრიტერიუმების პოლიტიზირების რისკები (მაგალითად, გადაწყვეტილების დასაბუთებულობაში და შედეგებში ჩაძიება), წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში შეიძლება გაჩნდეს მოსამართლეებზე ზეწოლისა და მათზე ზეგავლენის მოხდენის ახალი მექანიზმები, რომელთა არსებობამაც გასულ წლებში დისფუნქციური გახადა მართლმსაჯულების სისტემა;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი წევრების დანიშვნას. ახალი მოსამართლეების შერჩევა უნდა წარმოებდეს მიუკერძოებლად და გათვალისწინებული უნდა იყოს კანდიდატების პროფესიონალიზმი, გამოცდილება, რეპუტაცია და მიუკერძოებლობა. სასურველია უზენაეს სასამართლოში დასანიშნ პირებს შორის განიხილებოდნენ მოქმედი მოსამართლეებიც. გადაწყვეტილება ორი ვაკანტური ადგილის შევსების თაობაზე მიღებულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ. მომავალი წლის დასაწყისში უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის დანიშვნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების სისტემაში მიღწეული პროგრესის შენარჩუნებისა და გაღრმავების კუთხით, ასევე დამოუკიდებელი და ეფექტური სასამართლო სისტემის მყარად

ჩამოყალიების თვალსაზრისით. ყველა დაინტერესებულ მხარეს, პრეზიდენტისა და პარლამენტის ჩათვლით, აკისრია პასუხისმგებლობა პროცესის კონსტრუქციულად წარმართვაზე;

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მუშაობის პროცესი კვლავ დაძაბულობით გამოირჩევა. ერთი ვაკანსია კვლავაც შეუვსებელია. მმართველმა კოალიციამ და ოპოზიციამ უნდა მიაღწიონ კომპრომისს და შეავსონ ვაკანტური ადგილი, რათა საბჭოში ჩამოყალიბდეს თანამშრომლობითი და შედეგზე ორიენტირებული მიდგომები.

3. სამართალდამცავი ორგანოები

საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ. წარსულში ჩადენილი დანაშაულები, სავარაუდოდ, მოიცავს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, დაუსჯელობას, პოლიტიკურ ზეწოლას და ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებებს. ეს მემკვიდრეობა ხელისუფლებისაგან მოითხოვს მტკიცე და ეფექტურ რეაგირებას, ანუ ძირეული რეფორმების გატარებას. პოლიტიკური მიუკერძოებლობა, პროფესიონალიზმი და ანგარიშვალდებულება ამ სისტემებში აუცილებლობას წარმოადგენს.

- პროკურატურის ანგარიშვალდებულების დაბალი დონე კვლავ პრობლემად რჩება. მას შემდეგ, რაც ეს უწყება გამოეყო იუსტიციის სამინისტროს, მის მუშაობაზე არ ხორციელდება ინსტიტუციური ზედამხედველობა, რაც, როგორც ჩანს, ზიანს აყენებს მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის რეპუტაციას. აუცილებელია პროკურორების მუშაობის ხარისხის ამაღლება. გასულ წლებში პროკურორთა საგამოძიებო უნარები თითქმის არ გაუმჯობესებულა. 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ პროკურატურას რამდენიმე სხვადასხვა პირი ედგა სათავეში. ამ ლიდერებს რადიკალურად განსხვავებული ხედვა და ტაქტიკა ჰქონდათ, რამაც შანელა ინსტიტუციური განმტკიცების პროცესი. მნიშვნელოვანი შეშფოთების საგანია პროკურატურისადმი საზოგადოებრივი ნდობის ნაკლებობა.
- ის ფაქტი, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში სამუშაოდ აყვანისა თუ დაწინაურების პროცესში პატიოსნებას სათანადო ყურადღება არ ექცევა, ძირს უთხრის მოქალაქეთა ნდობას სისტემის მიმართ. მაგალითად, ზოგიერთი ამჟამინდელი პროკურორი და გამომძიებელი წარსულში მუშაობდა ფინანსურ პოლიციაში, რომლის მიმართ, თავის მხრივ, არსებობს მრავალი ბრალდება, მათ შორის არის ეჭვები, რომ ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა იძულებას დათანხმებოდნენ საპროცესო გარიგებებს, ასევე იყო ბიზნესის წარმომადგენელთა მიმართ გამოძალვის ფაქტები. საეჭვო რეპუტაციის მქონე ყოფილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტთან (რომელიც საბედნიეროდ დღეს გაუქმებულია) დაკავშირებული ზოგიერთი თანამშრომელი დაწინაურდა და დაინიშნა საკვანძო თანამდებობებზე სამართალდამცავ სტრუქტურებში. აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების მაღალი თანამდებობის

პირთა დანიშვნის დროს აქცენტი გაკეთდეს მათ პროფესიონალიზმსა და პატიოსნებაზე და არა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე;

- სამართალდამცავი სტრუქტურების ზედამხედველობის საკითხი კვლავ პრობლემურია. საჭიროა საჩივართა განხილვის დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმის შექმნა, რომელსაც მოქალაქეები მიმართავენ და ეცოდინებათ, რომ მათ საქმეს სათანადოდ განიხილავენ. ეს ეხება არა მხოლოდ პოლიციას, არამედ ციხის პერსონალსა და პროკურორებსაც. სხვა ქვეყნებში არსებული მოდელები შეიძლება იქცეს ეფექტური მოდელის შემუშავებისთვის შთაგონების წყაროდ. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა გენერალური ინსპექცია, დანაშაულის არსებობის ეჭვის მიზეზით, პროკურატურას უგზავნის საქმეებს, ხოლო პროკურატურა ამ საქმეებს ისევ უკან აბრუნებს. ეს პრაქტიკა ამყარებს სისტემისადმი ამჟამინდელ უნდობლობას;
- წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმეების გამოძიება შეიძლება იყოს აღქმული, როგორც შერჩევითი, თუკი პროკურატურა არ ჩამოაყალიბებს მკაფიო და გამჭვირვალე პრიორიტეტებს. აუცილებელია მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა. პროკურორებმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ კანონით დადგენილი პროცედურებით და მტკიცებულებები პროფესიულ დონეზე მოამზადონ;
- სამწუხაროა, რომ მოწმეთა დაკითხვის წესების გაუმჯობესება არ შევა ძალაში 2015 წლის ბოლომდე. ჭეშმარიტად შეჯიბრებითი სამართალწარმოების პროცესის და მხარეთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად მოწმეთა დასაკითხად საუკეთესო ადგილი სასამართლოა და არა პოლიციის შენობა ან პროკურატურა;
- ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც წარსულის გადმონაშთი, უნდა გაუქმდეს ერთხელ და სამუდამოდ;
- უნდა გაძლიერდეს ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება (მაგალითად, განრიდება, მედიაციაწინასწარი პატიმრობის შემცირება) და სისხლის სამართლისა და სასჯელაღსრულების პოლიტიკის ჰუმანიზაციაზე მიმართული ძალისხმევა;
- აუცილებელია დისკუსიის გაგრძელება ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შესახებ. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენცია გულისხმობს ნარკოტიკებით მოვაჭრეთა მკაცრ სისხლისსამართლებრივ დევნას და ამავე დროს, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკების ფლობის დეკრიმინალიზებას, შესაბამისად, ნარკო-დამოკიდებულ პირებს განიხილავენ, როგორც პაციენტებს და არა - კრიმინალებს.

პოლიტიკოსებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი კომენტარებისაგან იმ საქმეებზე რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება ან რომელიც იხილება სასამართლოში, გარდა ზოგადი კომენტარისა, როგორიც არის, მაგალითად, მოწოდება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, გამოიძიონ დანაშაულის ნიშნების შემცველი ყოველი საქმე ან განცხადება ძალადობის კატეგორიული დაგმობის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემა, მაშინაც კი, როცა ხელისუფლება არ ეთანხმება მოცემულ გადაწყვეტილებას.

4. სამართლიანობის აღდგენა

საჩივრებს წარსულში მომხდარი დარღვევების შესახებ სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს. როგორც პროკურატურამ მაცნობა, მათ შეისწავლეს 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შეტანილი საჩივრები (სულ დაახლოვებით 3.500 საჩივარი აღმოჩნდა ერთიდაიგივე საქმეებზე არსებული საჩივრების დაჯგუფების შედეგად), და ასრულებს მათი კატეგორიზაციის პროცესს. საჩივართა გარკვეული რაოდენობა იყო საკუთრების სახელმწიფოსათვის „არანებაყოფლობითი" გადაცემის შესახებ (დაახლოებით 700), და მომჩივანთა მტკიცებით, ამგვარი გადაცემა მოხდა ზეწოლის შედეგად. საჩივრები ასევე ეხება წამებისა ან სასტიკი მოპყრობის, უკანონო დაკავების ფაქტებს, და საპროცესო შეთანხმების სისტემის არასწორი გამოყენების პრაქტიკას. . მთავრობამ ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს, თუ როგორ აპირებს ამ საჩივრებზე რეაგირებას. სამართლიანი და მკაფიო პოლიტიკის არარსებობამ შეიძლება ხელი შეუწყოს როგორც საზოგადოებაში არასასურველი დაძაბულობის ზრდას, ასევე მსხვერპლთა უფლებების განგრძობად დარღვევას. აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშავოს კომპენსაციის სტრატეგია, მაშინაც კი, თუ დაზარლებულთა კომპენსაცია ფინანსური სირთულეების წინაშე დააყენებს.

5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ფარული მიყურადება

პირადი ცხოვრების დაცვა ხელისუფლების პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, განსაკუთრებით წარსულში არსებული დარღვევების გათვალისწინებით. საქართველომ მოახერხა დისკუსიათა კონსოლიდაცია ოპერატიულ- სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის ირგვლივ და დანიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი.

- სამართალდამცავი ორგანოების მიერ <u>ტელეკომუნიკაციის სერვერების პირდაპირი წვდომის</u> საკითხი პრობლემურია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. თუმცა, შესაძლებელია ტექნიკური გადაწყვეტილების მოძებნა და, როგორც ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა (ბრძოლა დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ), ასევე ადამიანის უფლებების დაცვა (ადამიანთა ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების, გამოხატვის თავისუფლების პატივისცემა). გონივრული იქნებოდა მსჯელობის დაწყება ტექნიკურ ასპექტებთან დაკავშირებით, სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და ევროპის საბჭოს ექსპერტების აქტიურად ჩართვა ამ პროცესში.
- უკანონო მოსმენების მასიური მასშტაბის გამო წარსულში (რომელიც გამოვლინდა ათასობით უკანონო ჩანაწერების სახით ხელისუფლების ცვლილების შემდეგ), ხელისუფლებას აქვს დამატებითი ვალდებულება, დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ წინა

წლებისაგან განსხვავებით, მათი პირადი ცხოვრება დაცულია და ხელისუფლება არ შეეგუება თვალთვალის ბოროტად გამოყენებას (როგორც ეს იყო წარსულში, როდესაც ჩანაწერები კეთდებოდა მასალის შეგროვების განზრახვით ოპონენტების ან სხვა სამიზნე პირის დაშანტაჟების მიზნით).

- გეგმები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოგვარდეს <u>წარსულის ათასობით უკანონო ჯერ-ჯერობით გაუნადგურებელი და ამჟამად პროკურატურაში შენახული ჩანაწერის საკითხი,</u> უნდა დაზუსტდეს და საჯაროდ გაცხადდეს. ამ შემთხვევაში ორი ინტერესი უნდა დომინირებდეს: მოცემული უკანონო ჩანაწერების ორგანიზატორებისა და განმახორციელებლების პასუხისმგებლობის გამოძიება და ამ ჩანაწერების სუბიექტთა პირადი ცხოვრების დაცვა. საკუთარი მოვალეობის ეფექტური განხორციელებისათვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უნდა ჰქონდეს საკმარისი დამოუკიდებლობა და საკმარისი ფინანსური რესურსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რამდენადაც საქართველოში ადრე არასდროს არსებობდა მსგავსი ტიპის ინსტიტუცია, და ინსპექტორის აპარატი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე, იქმნება ნულიდან, აუცილებელია სახელმწიფო დაფინანსების საკმაო რაოდენობის გამოყოფა მისი შემდგომი გაზრდა-განვითარებისათვის.

6. კამპანია ძალადობის წინააღმდეგ

ბოლო პერიოდის განმავლობაში იმატა ძალადობის შემთხვევების სხვადასხვა ფორმებმა.

- ოფიციალურმა პირებმა უნდა დაიწყონ <u>კამპანია ნებისმიერი სახის ძალადობის</u> წინააღმდეგ, მათ შორის: არჩევნებთან დაკავშირებული შემთხვევები, ძალადობა ცალკეულ კერძო პირებს შორის, ოჯახში ძალადობა (სულ ცოტა 14 ქალი დაიღუპა 2014 წლის პირველ ნახევარში) და ბავშვების აღზრდის მიზნით ფიზიკური დასჯის გამოყენებისადმი საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება.
- <u>ძალადობასთან დაკავშირებული საჩივრების</u> შესასწავლისას უფრო მტკიცე პოზიციის დაკავებაა საჭირო - განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან - და მთელი საზოგადოების ძალადობის წინააღმდეგ მობილიზაციის მიზნით;
- მნიშვნელოვანია, რომ ლიდერებმა პერმანენტულად აფიქსირონ მკაფიო, ძალადობის საწინააღმდეგო პოზიცია;
- საჭიროა სხვადასხვა <u>პროფესიის პირების, მათ შორის, პოლიციელების, სამედიცინო პერსონალის, სოციალური მუშაკების და მასწავლებლების გადამზადება,</u> რათა იცოდნენ თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისეთ შემთხვევებში, როცა სახეზეა ბავშვზე ძალადობის ნიშნები;
- სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ <u>სწრაფი და ეფექტური რეაგირება არჩევნების წინ კანდიდატებზე ნებისმიერი ზეწოლის,</u> ოპოზიციის შეკრებების ჩაშლის და არჩევნებთან დაკავშირებულ პირებზე ძალადობის განხორციელების ეპიზოდების

შესახებ საჩივრების არსებობის შემთხვევაში, რათა მოსახლეობას არ დარჩეს განცდა, რომ ამგვარი ძალადობა მისაღებია;

- <u>სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული იმსახურებს გაცილებით უფრო მკაცრ რეაგირებას</u> სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. პოლიციელებმა და პროკურორებმა უნდა გაიარონ დამატებითი მომზადება სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირებასთან და მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით. სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის იურიდიული განსაზღვრა კვლავაც პრობლემად რჩება.

7. მოწყვლადი ჯგუფები და თანასწორობა

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება მოლოცვას იმსახურებს, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი:

- საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს <u>ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტური განხორციელება</u> და ეტაპობრივად მოემზადოს ანტიდისკრიმინაციული დებულებების შესრულებისათვის უფრო ეფექტური მექანიზმების შემოსაღებად;
- <u>ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა კვლავ მიზერულია.</u> ქართული საზოგადოება იმსახურებს მამაკაცთა და ქალთა უფრო თანასწორ წარმომადგენლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამწუხაროდ, ივნისის ადგილობრივმა არჩევნებმა ვერ გამოასწორა საერთო სურათი. მთავრობამ და პარლამენტმა უნდა გადადგან აქტიური და მტკიცე ნაბიჯები ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად;
- პრემიერ მინისტრმა შექმნა <u>რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო,</u> თუმცა ამ გადაწყვეტილებას რელიგიური უმცირესობები და არასამთავრობო ორგანიზაციები სკეპტიკურად შეხვდნენ. მნიშვნელოვანია, ამ სააგენტომ გამოიჩინოს თანასწორი დამოკიდებულება ყველა რელიგიური დაჯგუფებების მიმართ, თანასწორად მოეპყრას ყველას და ამით დაამტკიცოს საკუთარი მიუკერძოებლობა;
- ხელისუფლებამ თავიდან უნდა აიცილოს <u>უმცირესობების საკითხის უსაფრთხოების პრიზმიდან განხილვა.</u> მიზანი უნდა იყოს ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია და არა ასიმილაცია.
- <u>ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვაზე</u> ზრუნვა ჩართულობის პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს. დიალოგის უფრო ღია ფორმატებმა და თანამშრომლობის სფეროთა გაფართოებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს არაოფიციალურ კონტაქტებს დე ფაქტო ხელისუფლებასთან. პარალელურად შესაბამის პატიმართა განთავისუფლება ხელს შეუწყობდა ამ კონტაქტების ჰუმანიტარული ელემენტის წარმოჩინებას.

8. მთავრობა და ადმინისტრაცია

- <u>დამოუკიდებელი და კომპეტენტური საჯარო სამსახურის</u> ფორმირებისათვის აუცილებლია საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის რეფორმა; პრემიების სამართლიანი სისტემა ეფექტურობასა და პროფესიონალიზმზე უნდა იყოს დაფუძნებული და არ უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკურ ჯილდოს;
- გადაწყვეტილების მიმღებმა პოლიტიკოსებმა საზოგადოებისათვის მისაბაძი მაგალითის როლი უნდა შეასრულონ. მათ კრიტიკის მოსმენისა და თმენის მეტი ვალდებულება აქვთ, ვიდრე რიგით მოქალაქეებს. არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან წარმართული კრიტიკის გმობა – როგორც ეს ხდებოდა წარსულში - არასწორია და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ გულწრფელი კრიტიკა მიუღებელია;
- მიღწეულ სოციალურ მონაპოვარს შენარჩუნება სჭირდება, განსაკუთრებით იმ წარმატებებს, რომელიც ხელს უწყობს <u>სიღარიბის შემცირებას</u> (მაგალითად, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, პენსიების ზრდა, საყოველთაო ჯანდაცვის დაფარვის გაფართოვება და ბავშვთა სიღარიბის შემცირება). სასურველია გაიზარდოს საზოგადოებრივი ცნობიერება და ინფორმირებულობა, როგორც სოციალური განვითარების გეგმებისა და მიღწეული შედეგების შესახებ, ასევე პასუხისმგებელი დარგობრივი სამინისტროების, მათ შორის ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებზე პასუხისმგებელი სამინისტროების მიერ მიღწეული პროგრესის თაობაზე.
- <u>საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის</u> შემდეგ, სისტემის რეგულირებამ და კორექტირებამ შესაძლებელია გარკვეული დრო მოითხოვოს. საჭირო ხდება ხელისუფლების ყველა შტოს შორის უფრო სიღრმისეული დიალოგი და კოორდინირება. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს აღარ აქვს აღმასრულებელი ფუნქცია, მას კვლავ აკისრია პოლარიზების და შიდა კონფლიქტის დროს მედიატორის, ასევე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში წარმომადგენლობითი ფუნქცია;
- საქართველომ უნდა გამოიყენოს (ფინანსური მხარდაჭერის ჩათვლით), ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება, <u>ინსტიტუტების გაძლიერებისა და გამყარებისათვის;</u>
- <u>მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსთა ვალია, მოქალაქეთა რეალურ პრობლემებზე ფოკუსირება.</u> <u>გასაგებია, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ყურადღება წარსულში ჩადენილი დარღვევების და მომავალში მსგავსი დარღვევების გამეორების თავიდან აცილების მიმართაა მიპყრობილი, თუმცა აქცენტი თანდათანობით უნდა გადავიდეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე.</u>